უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 38

20 19 წ. „02“ 10

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (ს/კ: 404987332) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3000-ით.
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 ოქტომბრის №16 სხდომის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი,

მ. ალექსიძის №1 ანქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი

დანართი 1

N	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ECTS	ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი 06	240	აკრედიტებული	04.12.2018; №182
2	შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართალი	ქართული	სამართლის მაგისტრი 06	120	აკრედიტებული	22.01.2019; №23
3	სამართალი	ქართული/ინგლისური	სამართლის დოქტორი 06	180	აკრედიტებული	03.11.2018; №142
4	სამედიცინო რეაბილიტაცია და საექთნო საქმე	ინგლისური	ჯანდაცვის ბაკალავრი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში / ჯანდაცვის ბაკალავრი საექთნო საქმეში 0905 0906	240	აკრედიტებული	16 .08.2016; №98
5	სამედიცინო რეაბილიტაცია და ჯანდაცვის მენეჯმენტი	ინგლისური	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი 0906 020303	120	აკრედიტებული	16 .08.2016; №99
6	მედიცინა	ინგლისური /ქართული	მედიცინის დოქტორი 0901	180	აკრედიტებული	15.07.2015; №58
7	მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი 090101	360	აკრედიტებული	03.11.2018; №143
8	ბიზნესის ადმინისტრირება	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	16.08.2016; №97
9	ბიზნესი და ინფორმაციული ტექნოლოგიები	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი	240	ავტორიზებული	10.10.2013; №26

10	ბიზნესის ადმინისტრირება	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	120	ავტორიზებული	10.10.2013; №26
11	პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები	ინგლისური	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი პოლიტიკაში ან საერთაშორისო ურთიერთობებში 0702 0705	240	აკრედიტებული	15.07.2015; №57